ძირითადი აქტოვობები	1. პროექტის იურისტების მიერ შემუშავდა სტრატეგიული დისკრიმინაციული საქმეების შერჩევის მეთოდოლოგია; 2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და მათი ოჯახის წევრებთან, აგრეთვე ბავშვებთან ჩატარდა 8 შეხვედრა; 3. მოძიებული იქნა სტრატეგიული საქმეები. საერთო სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში შეტანილი იქნა 13 საქმე, მათ შორის 1 საქმე საკონსტიტუციო სასამართლოში; 4. სახალხო დამცველის აპარატში გადაიგზავნა 10 საქმე; 5. „კოალიცია თანასწორობისთვის“ აქტივობების ფარგლებში დისკრიმინაციის თემაზე მომუშავე ორგანიზაციებთან მოეწყო ათამდე შეხვედრა, ასევე 3 შეხვედრა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში არსებულ თანასწორობის დეპარტამენტთან; 6. „კოალიცია თანასწორობისთვის“ წლიური ანგარიშისთვის ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასებისა და შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენის მიზნით შემუშავდა 2 დოკუმენტი; 7. კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით მომზადდა ანგარიში – „ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად“; 8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, ბავშვებზე და მათი ოჯახის წევრებზე გაიცა 85 სამართლებრივი კონსულტაცია; 9. კონსულტაციების აღრიცხვის მიზნით შეიქმნა სპეციალური ელექტრონული ბაზა
დონორი	ფონდი „ღია საზოგადოება -საქართველო“
ხანგრძლივობა (თვე)	14
ბიუჯეტი	29,675.00 \$

<p>რა იყო პროექტის წარმატება, რას მიაღწია პროექტმა</p>	<p>1. სტრატეგიული საქმეების წარმოების შედეგად, გაიზარდა მოსამართლეთა კვალიფიკაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებთან დაკავშირებით, შეიქმნა მნიშვნელოვანი პრეცედენტები, სასამართლოს გადანყვეტილებებში გაჩნდა მსჯელობა დისკრიმინაციის საკითხებზე (მორალური ზიანი, მტკიცების სტანდარტი), გაზარდა მოქალაქეთა (შშმ პირთა, ბავშვთა და მათ კანონიერ წარმომადგენელთა) ნდობა მართლმსაჯულების მიმართ; 2. სამიზნე ჯგუფებისთვის ჩატარებული კონსულტაციების შედეგად გაზარდა ორგანიზაციის ცნობადობა, ნდობა და მომართვიანობა, მნიშვნელოვნად გაიზარდა სამიზნე ჯგუფების აქტიურობის დონე საკუთარი უფლებების დაცვის მიმართულებით;</p>
<p>პროექტი</p>	<ul style="list-style-type: none"> “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სხვადასხვა ჯგუფის ინკლუზია საქართველოში“
<p>სამიზნე ჯგუფები</p>	<p>1. თემში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; 2. დახურულ დაწესებულებებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; 3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მშობლები; 4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე პროფესიონალები და მომსახურების მიმწოდებლები</p>
<p>ძირითადი აქტოვობები</p>	<p>1. საქართველოში დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა; 2. სამართლებრივი დახმარება სტრატეგიული სამართალწარმოების გზით შშმ პირთა პანიოსნატებსა და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მცხოვრები პირებისათვის; 3. შშმ პირებისა და მათი მშობლების ცნობიერებისა და ინფორმირებულობის გაზრდა შშმ პირთა უფლებებისა და უფლების დაცვის მექანიზმების შესახებ; 4. მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების ინფორმირებულობის გაზრდა ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების გზით; 5. საქართველოში დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის მონიტორინგი საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად (DRI International)</p>
<p>დონორი</p>	<p>USAID</p>
<p>პარტნიორი ორგანიზაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> Disability Rights International (DRI)
<p>ხანგრძლივობა (თვე)</p>	<ul style="list-style-type: none"> 24
<p>ბიუჯეტი</p>	<p>100,000.00 \$</p>

<p>რა იყო პროექტის წარმატება, რას მიაღწია პროექტმა</p>	<p>1. პროექტის ფარგლებში შეიქმნა შშმ პირთა მშობელთა ორგანიზაცია „ოჯახები დისკრიმინაციის წინააღმდეგ“ (FAD); 2. სტრატეგიული სამართალწარმოების საშუალებით მოხერხდა შშმ პირთა პანსიონატში მცხოვრები პირისთვის საცხოვრებლის გადაცემა და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა; 3. პროექტის ფარგლებში მომზადებული კონსტიტუციური სარჩელის საშუალებით სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფმა 200-მდე ქმედუნაროდ აღიარებულმა პირმა შეძლო საკუთარი პენსიის მიღება; 4. შეიქმნა ჰიდროცეფალიის მკურნალობის პროტოკოლი, რომელიც დამტკიცდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ და გადამზადდა 200-მდე პროფესიონალი; 5. თბილისის მუნიციპალიტეტში პროექტის ფარგლებში განხორციელებული ადვოკატირების გზით შეიქმნა მუნიციპალური პროგრამა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისათვის</p>
<p>პროექტი</p>	<p>ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის განგრძობადი მხარდაჭერა საქართველოში</p>
<p>სამიზნე ჯგუფები</p>	<p>1. მხარდაჭერის მიმღები პირები; 2. მხარდამჭერები; 3. საქართველოს ნოტარიუსთა პალატა; 4. საფინანსო დაწესებულებები; 5. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეები; 5. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო; 6. დღის ცენტრები და სათემო მომსახურების მიმწოდებლები; 7. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები</p>
<p>ძირითადი აქტოვობები</p>	<p>1. მოსამართლეების გადამზადება ქმედუნარიანობის რეფორმის აქტუალურ საკითხებზე; 2. სამუშაო შეხვედრები უზენაეს სასამართლოში; 3. სამუშაო შეხვედრები ნოტარიუსთა პალატაში; 4. სტრატეგიული სამართალწარმოების გზით ქმედუნარიანობის რეფორმის ალტერნატიული მოდელების დანერგვა; 5. მხარდამჭერები, მხარდაჭერის მიმღები პირებისა და მომსახურების მიმწოდებლების გადამზადება; 6. სამუშაო შეხვედრები სოციალური მომსახურების სააგენტოს, ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებისა და თემის წარმომადგენლების მონაწილეობით; 7. მხარდაჭერის მიმღები პირების წარმომადგენლობა სასამართლოში (50 მხარდაჭერის მიმღები პირი); 8. ინდივიდუალური კონსულტაციები მხარდამჭერებისთვის და მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის (200-მდე კონსულტაცია); 9. ანალიტიკური დოკუმენტების მომზადება ალტერნატიული მოდელების, საფინანსო დაწესებულებებთან ურთიერთობისა და ნების გამოვლენის საკითხებზე.</p>
<p>დონორი</p>	<p>ღია საზოგადოების ფონდები</p>
<p>ხანგრძლივობა (თვე)</p>	<p>24</p>
<p>ბიუჯეტი</p>	<p>100,000.00 \$</p>

<p>რა იყო პროექტის წარმატება, რას მიაღწია პროექტმა</p>	<p>1. პროექტის ფარგლებში პირველად მოხდა ალტერნატიული მოდელების გამოყენებით შშმ პირთა საჭიროებების დაკმაყოფილებაზე მუშაობა; 2. შეიქმნა დოკუმენტები, რომელიც დაეხმარება რეფორმაში ჩართულ ყველა სუბიექტს კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების ეფექტურად შესრულებაში; 3. პირველად პროექტის ფარგლებში მოხდა ექსპერტიზის დასკვნის გასაჩივრება, რომელიც დაკმაყოფილდა და მიმდინარეობს განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარება 24 მხარდაჭერის მიმღები პირის შემთხვევაში, რომელიც სრულიად ახლებურად გაანალიზებს რეფორმის მიმდინარეობას</p>
<p>რამდენი ადამიანი მუშაობს თქვენს ორგანიზაციაში (2017-2018 წლები)?</p> <ul style="list-style-type: none"> • მუდმივი თანამშრომლები 14 • პროექტების მიხედვით დაქირავებული თანამშრომელი 5 • არაანაზღაურებადი თანამშრომლები (ორგანიზაციის მუდმივი გუნდიდან) 14 • სტაჟიორი (ფასიანი) 0 • სტაჟიორი (უფასო) 6 • მოხალისე 2 	

სახელმწიფო პროგრამების განმასრვლებელი ორგანიზაციები

გამოკითხულთაგან 24 ორგანიზაცია ახორციელებს სახელმწიფო და მუნიციპალურ პროგრამებს შუამ პირთა სოციალური რეაბილიტაციის კუთხით.

ცხრილი 2. ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო და მუნიციპალურ პროგრამებს შუამ პირთა სოციალური რეაბილიტაციის კუთხით

ორგანიზაცია	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამა“	მუნიციპალური პროგრამები
1. თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი	<ul style="list-style-type: none"> ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა შუამ ბავშვთა და პირთა დღის ცენტრების ქვეპროგრამა 	
2. ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება	<ul style="list-style-type: none"> დღის ცენტრების ქვეპროგრამა ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა 	
3. ხელი ხელს	მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამა	
4. აბილიტაციის და განვითარების ცენტრი	<ul style="list-style-type: none"> ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამა 	ქ. თბილისის მერიის „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამა
5. სამედიცინო ასოციაცია „თანა“	დღის ცენტრების ქვეპროგრამა	
6. ააიპ რეაბილიტაციის ცენტრი ნაიო	ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამა	ქ. ქუთაისის „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამა
7. საქართველოს პორტიჯის ასოციაცია	ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა	
8. კავშირი ადამიანების განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ	დღის ცენტრების ქვეპროგრამა	
9. მშობელთა ხიდი	დღის ცენტრების ქვეპროგრამა	
10. კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის	დღის ცენტრების ქვეპროგრამა	
11. კოალიცია სოციალური რეფორმებისათვის	<ul style="list-style-type: none"> დღის ცენტრების ქვეპროგრამა ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა 	

12. საპროტეზო ორთოპედიული რეაბილიტაციის ქართული ფონდი	დამხმარე საშუალებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გათვალისწინებული საპროტეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტი	
13. კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის	დამხმარე საშუალებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გათვალისწინებული საპროტეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტი	
14. კავშირი „ნერგები“	დღის ცენტრების ქვეპროგრამა	
15. კავშირი „მშობლების თანადგომა“	დღის ცენტრების ქვეპროგრამა	
16. საქართველოს სამარიტელთა კავშირი	ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა	
17. ასოციაცია ანიკა	<ul style="list-style-type: none"> • დღის ცენტრების ქვეპროგრამა • ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა 	ქ. თბილისის მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისი
18. საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაცია	<ul style="list-style-type: none"> • ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა • დღის ცენტრების ქვეპროგრამა • მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამა 	თელავის მერიის პროგრამა ბავშვთა ადრეული განვითარების და სკოლამდელი ინკლუზიური განათლების ქვეპროგრამები
19. განათლების განვითარების და დასაქმების ასოციაცია	დღის ცენტრების ქვეპროგრამა	
20. განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი „თაირისი“	<ul style="list-style-type: none"> • დღის ცენტრების ქვეპროგრამა • ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა • კოხლყარული იმპლანტის შემდგომი რეაბილიტაციის (ლოგოპედიის) პროგრამა 	
21. ბათუმის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი	მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამა	
22. სტუდია ეიდისი	მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამა	
23. ა(ა)იპ ია	დღის ცენტრების ქვეპროგრამა	
24. შშმ პირთა ინტეგრაციისა და განვითარების ასოციაცია „ჭანგი“	დღის ცენტრების ქვეპროგრამა	

შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების კოალიციები

შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები არიან შემდეგი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების გაერთიანებების / კოალიციების წევრები

ადგილობრივი გაერთიანებები:

- კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის;
- კოალიცია თანასწორობისათვის;
- აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა;
- კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის;
- საქართველოს ბავშვთა ადრეული ინტერვენციის კოალიცია;
- კოალიცია შინმოვლა საქართველოში;
- სამკურნალო-პედაგოგიკისა და სოციალური თერაპიის საერთაშორისო წრე;
- კოალიცია აუტიზმისათვის;
- კოალიცია მოძრაობა ცვლილებებისთვის;
- ქ. ქუთაისის მერიასთან არსებული შშმ პირების საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი;
- საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიცია;
- შშმ პირთა საკოორდინაციო საბჭო;
- სოციალურ საწარმოთა ალიანსი

საერთაშორისო გაერთიანებები:

- კავკასიის სოციალური სერვისების მიმწოდებელ ორგანიზაციათა თანამშრომლობის ქსელი (Caucasus Caregiver Cooperation Network (CCC));
- ნაღმის შედეგად დაზარალებულთა საერთაშორისო ქსელი;
- სამხრეთ კავკასიის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციათა კოალიცია;
- European Network for Independent living (ENIL);
- ჰემოფილიის მსოფლიო ფედერაცია;
- ევროპის ჰემოფილიის კონსორციუმი;
- Samaritan International;
- ვალდორფის სკოლების საერთაშორისო კოალიცია


უფი პირთა საპითსეზე მომუშავე ორგანიზაციების ბიზნესთან თანამშრომლობა

ბოლო წლებში საქართველოში სულ უფრო ხშირია ბიზნეს ორგანიზაციების მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში სოციალური პროექტების განხორციელება.

მსხვილი ბიზნეს კომპანიების ნაწილს გააჩნია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია, სადაც გაწერილია ის სფეროები, რაშიც ორგანიზაცია აპირებს განახორციელოს სოციალური პროექტები.

გამოკითხული ორგანიზაციებიდან მესამედზე მეტს (36,4%) აქვს ბიზნეს ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება.

დიაგრამა 12. ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობა



ქვემოთ მოცემულია ბიზნეს ორგანიზაციების მიერ სოციალური პროექტების დაფინანსები, საქველმოქმედო საქმიანობების მაგალითები:

- **მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“** დაფინანსებით ფუნქციონირებს მრავალპროფილური პროფესიული და სასწავლო-სამკერვალო სოციალური საწარმო „თაირის-დიზაინი“. პროექტის მიზანია იმერეთის რეგიონში სოციალური მენარმეობის ხელშეწყობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათი ოჯახის წევრების, სოციალურად დაუცველი ადამიანების პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და დასაქმების ხელშეწყობა. მრავალპროფილურ სასწავლო-სამკერვალო სოციალური საწარმოში მკერავ-მოდელიორის პროფესიაზე 9 თვიან სასწავლო კურსს გადის 14 წლის ასაკის ზემოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 10 პირი. საწარმო სთავაზობს საბავშვო ბაღებს საბავშვო-სადღესასწაულო ფორმების გაქირავების სერვისს.
- 2017 წელს „მშობელთა ხიდის“ ბაზაზე „ლიბერთი ბანკის“ დაფინანსებით გაიხსნა მუსთერაპიული ცენტრი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებსა და მოზარდებს ემსახურება. ცენტრში მუსთერაპევტები, ფსიქოლოგები, მეტყველების თერაპევტები, არტ-


თედაპევეტები, აბა და ოკუპაციური თერაპევეტები დახმარებას უწევენ ბავშვებს სხვადასხვა ბარიერების გადალახვაში და საზოგადოებასთან ინტეგრირებაში.

- **ლოპოტა სპა რეზორმტმა** ფინანსური დახმარება გაუნია „საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციის“ მიერ ნაფარეულში დაფუძნებულ ბავშვთა ადრეული განვითარების ცენტრ (სოციალური სანარმო) „ცისარტყელა“.
- **შპს „მ კვადრადტი უძრავი ქონება“** 2018 წელს ქუთაისის მერიასთან ერთად აუტისტური სპექტრის დარღვევების მქონე 40 ბენეფიციარის ერთწლიანი სარეაბილიტაციო კურსი დააფინანსა.
- 2016 წელს ინვალიდთა ინტეგრაციისა და ხელოვნების განვითარების ასოციაცია „ჭანგის“ ბაზაზე შექმნილი სოციალური სამკერვალო სანარმო „ჭანგი“ ბიზნეს კომპანიებს სთავაზობს საკუთარ პროდუქციას. ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს ბიზნეს კომპანიებთან სოციალური კორპორატიული პასუხისმგებლობის იდეის პროპაგანდაზე, რითაც ახერხებს დააინტერესოს ბიზნეს კომპანიები მათი პროდუქციის შექმნით.
- საქართველოს უსინათლოთა კავშირის ბენეფიციარებს შპს „ბარამბომ“ საახალწლო საჩუქრები გადასცა.
- 2017 წელს კოალიციამ ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ-თან“ ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა, რომლის ფარგლებშიც შპმ ბავშვთა დღის ცენტრი 1 წლის განმავლობაში განთავისუფლდა წყლის გადასახადიდან.
- „კოალიციას ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის“ თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული კომპანია „ნატახტართან“, რომლის მიზანია ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების მხარდაჭერა.
- „განათლების განვითარების და დასაქმების ასოციაციას“ აქვს კარგად განვითარებული კავშირები კერძო სექტორთან, რომლებიც სისტემატურად უზრუნველყოფენ შპმ ბავშვთა და პირთა დღის ცენტრების პროგრამის მხარდაჭერას. ეს ორგანიზაციებია: ს/ს ლიბერთი ბანკი; მსო კრისტალი; ზედაზენი; ლუკოილი და სხვა
- სამშენებლო კომპანიამ „ანაგი“ ნაწილობრივ დაფარა „აბილიტაციის და განვითარების ცენტრის 2 წლის კომუნალური ხარჯები.
- საქველმოქმედო ორგანიზაცია „ავერსი“ რამოდენიმე წლის განმავლობაში პერიოდულად ატარებს საქველმოქმედო აქციებს (ტკბილეული, მედიკამენტები, ჰიგიენური საშუალებები) ორგანიზაცია „მშობელთა თანადგომის“ ბენეფიციარებისთვის.
- სს კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურსა“ და „კოალიცია სოციალური რეფორმებისთვის“ გაფორმდა შეთანხმება, რომლის თანახმად კოალიციის შპმ ბავშვთა დღის ცენტრის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფას. კომპანია „ჩენელ ენერჯი“ 2014 წლიდან აფინანსებს კოალიციის შპმ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამის შენობის იჯარას.
- ორგანიზაციებმა დაასახელეს კერძო პირებისგან დახმარების შემთხვევებიც, ა(ა)იპ ბავშვი, ოჯახი, საზოგადოებას კერძო დონორმა გადასცა თანხა მიკროავტობუსის შესაძენად.

ორგანიზაციების სერვისები და სამიზნე ჯგუფები


კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების ყველაზე დიდი ნაწილი (27 ორგანიზაცია) ემსახურება შშმ ბავშვებსა და მოზარდებს. 12 ორგანიზაციას არ ჰყავს გამოკვეთილი სამიზნე ჯგუფები, ეს არიან ის ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან სერვისის პროვაიდერები.

დიაგრამა 13. რომელ სამიზნე ჯგუფებს ემსახურებიან ორგანიზაციები



ის ორგანიზაციები, რომლებიც საქმიანობენ ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში, სთავაზობენ მომსახურების ფართო სპექტრს. (იხ. დიაგრამა 14)

დიაგრამა 14. შპმ პირთათვის სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების მომსახურების სახეები



შპმ პირთა უფლებების რეალიზების ადვოკატირების და ლობირების გამოცდილება

კვლევაში მონაწილე ორგანიზაციებს აქვთ შპმ პირთა უფლებების რეალიზების ადვოკატირების გამოცდილება.

ცხრილი 3. შპმ პირთა უფლებების რეალიზების ადვოკატირების გამოცდილება


ორგანიზაცია	განხორციელებული საქმიანობა
აბილიტაციის და განვითარების ცენტრი	1. ადვოკატირების ტრენინგი მშობლებისთვის 2. მუნიციპალიტეტებთან ადვოკატირება სხვადასხვა სერვისის დანერგვის ხელშესაწყობათ (აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში) 3. პირველადი ჯანდაცვის რგოლთან შეხვედრები ადრეული იდენტიფიცირების და რეფერირების საკითხებთან დაკავშირებით (აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში) 4. საბავშვო ბალებთან შეხვედრები ადრეული იდენტიფიცირების და რეფერირების საკითხებზე
კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის	2015 წელს ორგანიზაციამ განახორციელა პროექტი „შპმ პირთა საჭიროებების გამოკვლევა და ადვოკატირება“ პროექტის ფარგლებში მოხდა 120 შპმ პირის გამოკითხვა, გამოვლინდა პრიორიტეტული საჭიროებები, მატ საფუძველზე მომზადდა კონკრეტული წინადადებები და მოხდა მათი წარდგენა და ადვოკატირება ზესტაფონის თვითმმართველობის წინაშე. მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება.
ბათუმის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი	ადაპტირებული შესასვლელი საზოგადოებრივი დაწესებულებებში; ადაპტირებული ტრანსპორტი სკოლაში შპმ ბავშვების გადასადგილებლად.
აუტიზმის კვლევის და ხელშეწყობის ფონდი	აუტიზმი ს მქონე პირთა დღისადმი მიძღვნილი სოციალური აქციები
ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება	გაეროს განვითარების პროექტის ფარგლებში, ორგანიზაციამ მოახდინა შპმ პირთა/ბავშვთა დღის ცენტრების პროგრამის სტანდარტების დახვეწისა და დაფინანსების გაზრდის კამპანია
შპმ პირთა ინტეგრაციისა და განვითარების ასოციაცია „ჰანგი“	განვახორციელეთ ადვოკატირება შპმ პირთა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობასა და ხელმისაწვდომ გარემოზე. შევიმუშავეთ წინადადებები, რომლებიც მივანოდეთ შესაბამის დაწესებულებებს.

<p>„საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრირებული კავშირი“</p>	<p>2014 წელს ორგანიზაციამ განახორციელა პროექტი „ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემო-გზა სოციალური ინტეგრაციისაკენ“, რომელიც „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობის ადვოკატირებას“ ფარგლებში განხორციელდა (US-AID-ის დაფინანსებით). პროექტის მიზანს წარმოადგენდა: საჩხერის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობა ადაპტირებული ფიზიკური გარემოს, კერძოდ საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებების (შენობა-ნაგებობათა) შეღწევადობისა და ხელმისაწვდომობის საკითხში მათი სოციალური ინტეგრაციისათვის; ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად შშმ პირთა ჩართულობით ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებითა და გადანყვეტილებების მიღებით, მოქმედი კანონმდებლობის შესრულების ზედამხედველობა; პროექტის ფარგლებში განხორციელდა საჩხერის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი დანიშნულების 100-ზე მეტი ობიექტის (შენობა-ნაგებობის) შეფასება შშმ პირთა შეღწევადობისა და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით 2014 წლის 6 იანვრის საქართველოს მთავრობის #41 დადგენილებით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტი“-ს მიხედვით. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე მომზადდა რეკომენდაციები, ორგანიზაცია ახორციელებს მათი შესრულების მონიტორინგს.</p>
<p>შშმ ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დედათა ასოციაცია „დეა“</p>	<p>შენობა- ნაგებობების ადაპტირების მონიტორინგი, სივრცითი ადაპტირებული მოწყობის ადვოკატირება</p>
<p>სტუდია ეიდისი</p>	<p>ინკლუზიურ განათლებაში ჩართულობა და საზოგადოებრივი აზრის ცვლილება, საარჩევნო სისტემებში ჩართულობა, სერვისებზე ხელმისაწვდომობა</p>
<p>კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის</p>	<p>ევროკავშირის დაფინანსებით კოალიციამ არასამთავრობო ორგანიზაცია „უნისონი“ (სომხეთი) და მოლდოვას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კავშირთან ერთად განახორციელა პროექტი „ინკლუზია მოქმედებაში“ (Inclusion in action) ფარგლებში. პროექტის მიზანი იყო ა პოლიტიკის ინსტრუმენტების – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადანყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის კონცეფციისა და ჩართულობისთვის აუცილებელი პირობების ჩამონათვალის მომზადება და ადვოკატირება.</p>
<p>პირველი ნაბიჯი საქართველო</p>	<p>მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია თავისთავად არის ადვოკატირების განმახორციელებელი, რადგან თითოეული მომსახურების შენარჩუნება და განვითარება არის უფლებების დაცვა, სერვისის გარეშე დარჩენილი ბავშვი და მოზარდი თუ გვეყოლება რომელ უფლებებზე ვისაუბრებთ</p>
<p>მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის</p>	<p>ორგანიზაციის თითქმის ყველა პროექტი მიმართულია შშმ პირთა უფლებების ადვოკატირებასა და დაცვაზე</p>

<p>განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი „თაირისი“</p>	<p>პროექტი „სმენადაქვეითებულ ბავშვთა ჯანმრთელობის უფლების ხელშეწყობა“ 2015 წლის დეკემბრიდან ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტს ახორციელებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები: ველფეარ ფაუნდეიშენ, სთეფ ფორვარდი, თაირისი, თანაზიარი. ასოცირებული პარტნიორები: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, აუდიოლოგის ეროვნული ცენტრი, ლენჰარდტის ფონდი სამიზნე რეგიონები: თბილისი, აჭარის ა.რ. იმერეთი და სამეგრელო. პროექტის ხანგრძლივობა: 36 თვე. პროექტის ბიუჯეტი: 399,715 ევრო. პროექტის მიზანი: სმენადაქვეითებულ ბავშვთა ჯანმრთელობის უფლების ხელშეწყობა და მათი სრული ინტეგრაცია საზოგადოებაში. პროექტის ამოცანები: სახელმწიფო პროგრამების/კანონმდებლობის ცვლილება, ბავშვებში სმენის დაქვეითების ადრეული გამოვლენისა და მათი სარეაბილიტაციო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. ახალშობილთა სმენის სკრინინგის აჭარის წარმატებული გამოცდილების დანერგვა იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონებში. სმენადაქვეითებული ბავშვების, მშობლებისა და ჯანდაცვის/რეაბილიტაციის სპეციალისტების ტექნიკური, მენეჯერული და ადვოკატირების უნარების გაძლიერება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.</p>
<p>ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)</p>	<p>რადგან ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება შშმ პირთა უფლებების ადვოკატირებაა, ამ მიმართულებით განხორციელებულა არაერთი საქმიანობა (მათ შორის, ბლოგები), თუმცა არა ისეთი ორგანიზებული სახით, რომ კამპანია ეწოდოს.</p>
<p>ხელი ხელს</p>	<p>ორგანიზაცია ახორციელებს ადვოკატირების კამპანიას მცირე ზომის საცხოვრისში შშმ პირთა ცხოვრების უფლებისთვის</p>
<p>განათლების განვითარების და დასაქმების ასოციაცია</p>	<p>შშმ პირთა დასაქმების მხარდაჭერი სერვისების განვითარების პროექტით მოხდა სახელმწიფო პროგრამების ინიცირება</p>

შპმ პირთა უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობისკენ მიმართული საკანონმდებლო ცვლილების ლობირებაში გამოცდილება

დიაგრამა 15. შპმ პირთა უფლებების რეალიზებისკენ მიმართული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირების /ლობირების გამოცდილება



ცხრილში მოცემულია კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების მიერ შპმ პირთა საკითხებზე საკანონმდებლო ცვლილებების ლობირების კუთხით განხორციელებული საქმიანობა

ცხრილი 4. შპმ პირთა უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობისკენ მიმართული საკანონმდებლო ცვლილების ლობირებაში გამოცდილება

ორგანიზაცია	განხორციელებული საქმიანობა
საქართველოს ჰუმანიტარული და დონორების ასოციაცია	ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება # 01-33/ო 11.02.2014 ჰუმანიტარული ან / და სისხლის შედეგების სხვა მემკვიდრული პათოლოგიით დაავადებულთა პაციენტების ანტი ჰუმანიტარული ფაქტორ – კონცენტრარის ინფუზიასთან დაკავშირებით სამედიცინო მომსახურების სრულყოფის მიზნით დამატებით გასატარებელი ღონისძიებათ შესახებ .
კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის	კოალიციამ „დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ მოამზადა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველადი პროექტი. 2018 წლის მაისში სამუშაო ჯგუფმა დაასრულა პროექტზე მუშაობა, რომელშიც სახელმწიფო უწყებები, საერთაშორისო მისიები და შპმ პირთა საკითხებზე მომუშავე 150-მდე ორგანიზაცია შედიოდა .
სტუდია ეიდისი	თბილისის და რეგიონების დღის ცენტრებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფის საქმიანობას გაუწია კოორდინირება, „ბავშვი, ოჯახი საზოგადოების“ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები დღის ცენტრების სტანდერტების და რეგულაციების შესახებ წარუდგინა სამთავრობო სტრუქტურებს (განათლების და მეცნიერების სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო)


<p>მომავალი ინყება დღეს</p>	<p>2018 წელს ორგანიზაციამ „მომავალი ინყება დღეს“ (პარტნიორი ასოციაცია „ქალი, ბავშვი და სოციუმი“) განახორციელა პროექტი „ხის კუბურები ქართული ანბანითა და ბრაილის შრიფტით უსინათლო და მცირემხედველი ბავშვებისთვის“ .</p> <p>პროექტის ფარგლებში საქართველოში პირველად დამზადდა ხის კუბურები ერთდროულად ქართული ანბანითა და ბრაილის შრიფტით უსინათლო და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისათვის. კუბურები დაეხმარება მშობლებს და ბავშვებს ქართული ანბანისა და ბრაილის შრიფტის შესწავლის პროცესში.</p> <p>პროექტის ფარგლებში ასევე შეიქმნა უსინათლოებისათვის სპეციალური ხელის მოსაწერი ჩარჩო, რომელიც გაუადვილებს მათ ხელის მოწერის პროცედურას. პროექტის მხარდამჭერია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.</p>
<p>ა(ა)იპ ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება</p>	<p>ქმედუნარიანობის რეფორმის სამუშაო ჯგუფის მონაწილე</p>
<p>საქართველოს უსინათლოთა კავშირი</p>	<p>საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა გაითვალისწინა საქართველოს უსინათლოთა კავშირის მიერ 2013 წლის 30 ივლისს წარდგენილი წინადადება საშემოსავლო გადასახადების დაუბეგრავი მინიმუმის 6000 ლარამდე გაზრდის შესახებ, რომელიც ამოქმედდა 2014 წლის 1 იანვრიდან.</p>
<p>ააიპ რეაბილიტაციის ცენტრი ნაიო</p>	<p>ქ. ქუთაისის მერიის „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის“ შემუშავება, რომლის მიხედვითაც 2018 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა ქუთაისში რეგისტრირებული/ მცხოვრები აუტისტური სპექტრის დარღვევების მქონე 2–15 წლის ბავშვების სარეაბილიტაციო მომსახურება</p>
<p>შპს პირთა ინტეგრაციისა და განვითარების ასოციაცია „ჰანგი“</p>	<p>ასოციაციის „ჰანგი“ და მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ პროექტის „შპს პირთა ინტეგრაციის ადვოკატირება და ქსელური მუშაობის ხელშეწყობა სამეგრელოს რეგიონში“ ფარგლებში განხორციელდა ადაპტირებული გარემოს კვლევა. პროექტი დააფინანსა კოალიციამ „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“, რომელიც დაფინანსებულია USAID-ის მიერ. კვლევის შედეგები და რეკომენდაციები წარედგინა ადგილობრივ თვითმმართველობას</p>
<p>ა(ა)იპ „მშობელთა ხიდი“</p>	<p>2018 წლის 20 ივლისს, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილება, რის შედეგადაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოქმედი სპეციალურ მასწავლებლები ჩაერთვნენ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“ და სპეციალური მასწავლებლის სტატუსი გათანაბრდა მასწავლებლის სტატუსთან.</p>
<p>საქართველოს პორტიფის ასოციაცია</p>	<p>ორგანიზაცია ჩართული იყო საქართველოს პარლამენტის 2016 წელს მიღებული (N5366-III) „ადრეული და სკოლმადელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონის იმ ნაწილის შემუშავებაში, რომელიც ეხება ინკლუზიურ განათლებას.</p>
<p>კავშირი ქალი და რეალობა</p>	<p>ორგანიზაცია მონაწილეობას იღებდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავებაში, რომლის პირველადი პროექტი მოამზადა კოალიციამ „დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ . 2018 წლის მაისში სამუშაო ჯგუფმა დაასრულა პროექტზე მუშაობა, რომელშიც სახელმწიფო უწყებები, საერთაშორისო მისიები და შპს პირთა საკითხებზე მომუშავე 150-მდე ორგანიზაცია შედიოდა .</p>
<p>ხელი ხელს</p>	<p>სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვთა ზრუნვის პროგრამის კომპონენტის – სათემო საცხოვრებლების ქვეპროგრამა-ფარგლებში შპს პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობი მომსახურებით ურუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში სახელმწიფო ერთ ბინადარზე დღესში 16 ლარს იხდიდა, რაც საჭირო თანხების მხოლოდ 50% იყო, დანარჩენ ნაწილს ფონდი ღია საზოგადოება -საქართველო აფინანსებდა. ორგანიზაცია „ხელი ხელს“ ინიციატივით სახელმწიფო პროგრამაში შევიდა ცვლილება, რის საფუძველზეც ერთ პირზე განსაზღვრული თანხის ოდენობა გაორმაგდა და გახდა 32 ლარი.</p>

<p>განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი „თაირისი“</p>	<p>ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სმენადაქვეითებულ ბავშვთა ჯანმრთელობის უფლების ხელშეწყობა“ ფარგლებში რომელსაც ახორციელებდა „თაირისთან“ ერთად ახორციელებდა „ველფეარ ფაუნდემინი“, „სთეფ ფორვარდი“, „თანაზიარი“ ფარგლებში 2016 წლის ივნისიდან დაინერგა ახალშობილთა სმენის სკრინინგი საქართველოს ორ რეგიონალურ ცენტრში – ქუთაისსა და ზუგდიდში 2018 წლის 1 მარტიდან კი, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით, ახალშობილთა სმენის უნივერსალური სკრინინგი დაინერგა მთელ საქართველოში.</p>
<p>ააიპ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)</p>	<p>ორგანიზაცია მონაწილეობ იმ პლატფორმაში/სამუშაო ჯგუფში, რომელიც შშმ პირების დაცვას ეხება და პოზიციონირებს როგორც საკუთარ რეკომენდაციებს: 1. EMC იყო ქმედუნარიანობის რეფორმის სამუშაო ჯგუფის წევრი; 2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონის პროექტის შემუშავების პროცესში EMC ადვოკატირებს შშმ პირთა უფლებების უკეთ გათვალისწინების მიმართულებით.</p>
<p>პირველი ნაბიჯი საქართველო</p>	<p>„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამის შექმნა „პირველი ნაბიჯი საქართველო“ მიერ იქნა შეთავაზებული</p>

ორგანიზაციის წლიური ბიუჯეტები

შპმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები წლიური ბიუჯეტის მოცულობის მიხედვით შეიძლება დაიყოს ოთხ ჯგუფად. ორგანიზაციები რომელთაც პრაქტიკულად არ აქვთ დაფინანსება ან დაფინანსება არ აღემატება 50000\$-ს; მცირე ბიუჯეტიანი ორგანიზაციები – ორგანიზაციები რომელთა წლიური ბიუჯეტი არის 5 000\$-25 000\$, საშუალო ბიუჯეტიანი ორგანიზაციები – ორგანიზაციები რომელთა წლიური ბიუჯეტი 25 000\$-100 000\$ ფარგლებშია და მაღალ ბიუჯეტიანი ორგანიზაციები, რომელთა წლიური ბიუჯეტი 100 000\$-დან ზევით არის და ცალკეულ შემთხვევებში მილიონს აღემატება. გამოკითხულთა შორის რაოდენობრივად ყველაზე დიდი ჯგუფია საშუალო ბიუჯეტიანი ორგანიზაციები, 2018 წელს 24 ორგანიზაციის ბიუჯეტი 25 000\$-100 000\$ ფარგლებში იყო. ამასთან იმ ორგანიზაციების რაოდენობა რომელთა წლიური ბიუჯეტი იყო 50 000-100 000\$ წინა წლებთან შედარებით გაიზარდა.

დიაგრამა 16. ორგანიზაციათა წლიური ბიუჯეტები



დაფინანსების წყაროები

ორგანიზაციები აფასებდნენ ბოლო ორი წლის განმავლობაში მათ წლიურ ბიუჯეტში შემოსავლების წყაროების პროცენტული განაწილებას.

ორგანიზაციების დაფინანსების წყაროებში მთავარი ადგილი უჭირავს საერთაშორისო/ადგილობრივი დონორი ორგანიზაციებისგან მიღებულ ფინანსურ მხარდაჭერას.


ორგანიზაციათა თითქმის მესამედისთვის (32,7%) დონორი ორგანიზაციებისგან მიღებული ფინანსური მხარდაჭერა მათი ბიუჯეტის თითქმის 100%-ს შეადგენდა. 27%-ს (15 ორგანიზაციას) არ ჰქონდა დონორი ორგანიზაციისგან მიღებული შემოსავალი.

სახელმწიფოსგან გრანტები მიღებული აქვს ორგანიზაციების 7,3%-ს (4 ორგანიზაცია). სახელმწიფოსთვის განეული სერვისებით მიღებული შემოსავალი აქვს ორგანიზაციათა ნახევარზე მეტს (სულ 54,5%), ამასთან ორგანიზაციების 12,7%-სთვის (7 ორგანიზაცია) დაფინანსების ეს წყარო წლიური ბიუჯეტის 97-100%-ია.

საწევრო გადასახადი აქვს მხოლოდ ორ ორგანიზაციას (წლიური ბიუჯეტის 1-5%). კერძო პირებისგან მიღებული შემოწირულობები აქვს 5 ორგანიზაციას (წლიური ბიუჯეტის 1-5%).


ბიზნესის მიერ შესყიდული სერვისი/პროდუქციით მიღებული შემოსავალი აქვს 6 ორგანიზაციას (წლიური ბიუჯეტის 5-20%), ბიზნეს სექტორიდან შემოწირობაც ასევე 6 ორგანიზაციას აქვს მიღებული (წლიური ბიუჯეტის 5-27%)

დიაგრამა 17. ორგანიზაციების წლიურ ბიუჯეტში დონორი ორგანიზაციების გრანტებით მიღებული შემოსავლის წილი




გრანტების წილი ორგანიზაციების წლიურ ბიუჯეტში

დიაგრამა 18. ორგანიზაციების წლიურ ბიუჯეტში სახელმწიფო ორგანიზაციებისგან მიღებული გრანტების წილი




დიაგრამა 19. ორგანიზაციების წლიურ ბიუჯეტში სახელმწიფოს მიერ შესყიდული სერვისით მიღებული წილი



ოფისი და ტექნიკური აღჭურვილობა


ორგანიზაციების 18,2%-ს (10 ორგანიზაცია) საკუთარი ოფისი აქვს, მესამედზე მეტი მუდმივად ქირაობს ოფისს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართით სარგებლობს დაახლოებით მეოთხედი, დანარჩენი ორგანიზაციები საჭიროების შემთხვევაში ქირაობენ ან მათი ოფისი დროებით თანამშრომლის / ხელმძღვანელის სახლშია განთავსებული.

დიაგრამა 20. ორგანიზაციათა ოფისებით უზრუნველყოფა




ორგანიზაციათა მესხუთედის ოფისი განთავსებულია 50კვ.მე ფართობის მქონე სივრცეში. ამდენივეს ოფისი 50-100 კვ.მ-ია. მესამედზე მეტის ოფისი კი 200 კვ.მ. და მეტია.

დიაგრამა 21. ორგანიზაციების ოფისის ფართობი



ორგანიზაციების დაახლოებით მესხუთედს არ აქვს საჭირო საოფისე ტექნიკა. მესხუთედს აქვს ძირითადი ტექნიკა, თუმცა უმრავლესობა მოძველებულია. ორგანიზაციათა მეოთხედი კი ამბობს რომ ყველა საჭირო ტექნიკით უზრუნველყოფილები არიან.


დიაგრამა 22. საოფისე და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა



ადამიანური რესურსი


კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების თითქმის ორმესამედს (38 ორგანიზაცია) ჰყავს მუდმივი ანაზღაურებადი თანამშრომელი. 33-ს ჰყავს ამავე დროს პროექტულად დასაქმებული კადრი. 16 ორგანიზაციას 2018 წელს არ ჰყავდა ანაზღაურებადი თანამშრომელი, შესაბამისად აქტივობებს ახორციელებდა მხოლოდ არაანაზღაურებადი თანამშრომლების გუნდი. ორგანიზაციათა დაახლოებით ნახევარი (28 ორგანიზაცია) იყენებს მოხალისეთა შრომას. უფასო სტაჟირების გამოცდილება არსებობს 16 ორგანიზაციაში, 7 ორგანიზაციას კი ჰყავდა ანაზღაურებადი სტაჟიორი.

დიაგრამა 23. კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების ადამიანური რესურსები



ყველაზე მეტია იმ ორგანიზაციების რაოდენობა, რომელთაც ჰყავთ 21-30 ანაზღაურებადი თანამშრომელი. უფრო მცირერიცხოვანი და უფრო მრავალრიცხოვანი თანამშრომლები ჰყავს ორგანიზაციათა შედარებით მცირე ნაწილს.

დიაგრამა 24. ორგანიზაციათა განაწილება ანაზღაურებადი თანამშრომლების რაოდენობის მიხედვით (მუდმივი შტატი და პროექტებში დასაქმებული)



ცხრილი 5. თანამშრომელთა რაოდენობა ორგანიზაციებში

ორგანიზაცია	მუდმივ თანამშრომელთა რაოდენობა	პროექტებში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა	არანაზღაურებადი თანამშრომლები გუნდიდან	სტაჟირება ფასიანი	სტაჟირება უფასო
პირველი ნაბიჯი საქართველო	96	10	0	0	8
საქართველოს უსინათლოთა კავშირი	68	4	0	0	0
კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი	38	8	0	0	0
საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაცია	35	7	0	2	0
განათლების განვითარების და დასაქმების ასოციაცია	34	5	34	1	0
თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი	34	2	0	0	0
ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება	33	7	0	4	4
ხელი ხელს	30	15	0	0	8
აბილიტაციის და განვითარების ცენტრი	28	9	28	2	0
ასოციაცია ანიკა	26	0	0	0	0
სამედიცინო ასოციაცია „თანა“	26	0	0	0	2
განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი „თაირისი“	25	2	0	0	0
საქართველოს პორტიჯის ასოციაცია	25	3	0	0	2
რეაბილიტაციის ცენტრი ნაიო	25	0	0	0	3
ხიდი სოციალური ინკლუზიისთვის	25	0	0	0	0
ბათუმის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი	24	21	3	0	2
ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)	22	1	0	1	0

მომავლის სხივი	22	0	0	0	2
კავშირი ადამიანების განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ	21	5	0	0	10
„მშობელთა ხიდი“	19	9	2	0	1
კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის	18	4	2	1	0
კოალიცია სოციალური რეფორმებისათვის	16	0	0	0	3
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დედათა ასოციაცია „დეა“	15	8	7	0	3
სტუდია ეიდისი	15	6	0	0	4
კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის	12	7	0	0	0
შშმ პირთა ინტეგრაციისა და განვითარების ასოციაცია „ჰანგი“	12	11	8	0	1
ალტერ ეგო	12	0	0	0	0
ია	9	13	2	0	0
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების კავშირი	8	8	4	0	0
იმედი-3	7	7	0	0	0
კავშირი „ნერგები“	7	10	0	0	1
ლაზარე 2015	7	0	0	0	0
ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლი	7	0	5	0	0
ნაბიჯ-ნაბიჯ Step by Step	7	10	4	0	0
მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის	5	8	0	0	0
მომავალი იწყება დღეს	5	8	4	0	0
საქართველოს პარალიმპიური კომიტეტი	5	0	0	0	0
ვოლფრამის სინდრომი-საქართველო	4	0	4	0	0
საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრირებული კავშირი	4	0	4	0	0
ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის	4	1	3	0	0
შშმ პირთა ქალთა და დევნილთა ასოციაცია	3	12	15	0	2
საქართველოს ჰემოფილიისა და დონორობის ასოციაცია	3	3	3	0	0
საპროტეზო ორთოპედიული რეაბილიტაციის ქართული ფონდი	3	0	15	0	0
სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი (ინვალიდთა ასოციაცია)	3	10	5	22	0
კავშირი „მშობლების თანადგომა“	2	6	0	0	2
კავშირი ქალი და რეალობა	2	2	0	0	0
ბავშვთა ასაკის შეზღუდულ შესაძლებლობათა საქართველოს აკადემია – ბაშა	2	6	0	0	0
საქართველოს სამარიტელთა კავშირი	2	22	3	1	0
ოჯახები დისკრიმინაციის წინააღმდეგ-FAD	1	0	0	0	0
ინვალიდ მეომართა და დაღუპულ მებრძოლთა	0	12	0	0	0
აუტიზმის კვლევის და ხელშეწყობის ფონდი	0	3	0	0	0
აფრა საქართველო	0	0	5	0	0
საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაცია	9	7	2	0	5
ა(ა)იპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR)	14	5	14	0	6

მენტალური ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ სერვის ორგანიზაციებს ჰყავს შემდეგი სახის სპეციალისტები:

- ფსიქოლოგი;
- ბავშვთა ფსიქიატრი;
- ბავშვთა ნევროლოგი;
- სოციალური მუშაკი;
- ქცევითი თერაპევტი;
- სპეცპედაგოგი;
- ხელოვნებითი თერაპევტი;
- მუსთერაპევტი;
- ფიზიკური თერაპევტი ;
- ექთანი;
- გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტი;
- ექიმი რეაბილიტოლოგი;
- მასაჟისტი;
- კინეზოთერაპევტი;
- მომვლელ-ასისტენტი;
- მეტყველების თერაპევტი;
- ადრეული განვითარების სპეციალისტი;
- პედიატრი ;
- ოკუპაციური თერაპევტი;
- პერსონალური ასისტენტი;
- სენსომოტორიკის სპეციალისტი;
- ევრითმისტი;
- ქიროფონეტიკის სპეციალისტი

ორგანიზაციების სამოგავლო გეგმები

მომავალი ერთი წლის გეგმების შესახებ კითხვას უპასუხა ორგანიზაციების დაახლოებით ნახევარმა. სახელმწიფო პროგრამების განმარტებული ორგანიზაციები გეგმავენ მომავალშიც გააგრძელონ სერვისის მიწოდება, ზოგიერთი მათგანი გეგმავს ახალი სერვისების დანერგვას.

ცხრილი 7. ორგანიზაციების გეგმები მომავალი ერთი წლის განმავლობაში

ორგანიზაცია	მომავალი ერთი წლის გეგმა/რა საკითხებზე აპირებს ორგანიზაცია მუშაობას
ვოლფრამის სინდრომი-საქართველო	უსინათლო და მცირემხედველი ადამიანებისათვის კომპიუტერისა და ანდროიდის მობილური ტელეფონის ხმოვანი პროგრამებით გამოყენების სწავლება.
საქართველოს უსინათლოთა კავშირი	შშმ პირთა უფლებების დაცვის კუთხით, მნიშვნელოვანია მათი შრომის უფლების რეალიზება. ვინაიდან, მხედველობის მხრივ შშმ პირთა დასაქმება სახელმწიფო და კერძო სექტორში პრობლემურია, ვფიქრობთ სოციალური მენარმეობის განვითარებას და შშმ პირთა დასაქმებას ამ სფეროში.
კავშირი ადამიანების განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ	შშმ პირთა უფლებების ადვოკატირება სტუდენტებში
კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის	შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა
ბათუმის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი	შშმ ბავშვებთან მომუშავე პერსონალის გადამზადება ახალი უნარებით და მეთოდებით აღჭურვის მიზნით. მშობლებთან აქტიური მუშაობა და პრობლემის მოგვარების პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა.
ა(ა)იპ „საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრირებული კავშირი“	მომავალი წლის განმავლობაში ორგანიზაცია აპირებს ადგილობრივ დონეზე გააგრძელოს UNCRPD-ის პოპულარიზაცია, იმპლემენტაციის მონიტორინგი; გეგმავს საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ბენეფიციარებისთვის სერვისების შეთავაზებას, რადგანაც ამ ადგილებზე მუნიციპალური პროგრამების არარსებობის გამო შშმ პირები თბილისში გადადნიან საცხოვრებლად.
ა(ა)იპ სამედიცინო ასოციაცია „თანა“	სოციალური სანარმოს შექმნა
ააიპ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)	ორგანიზაცია იმუშავებს ზოგადად შშმ პირების უფლებების ადვოკატირების, ასევე, მათი ინტერესების დაცვის მიმართულებით სასამართლო/ადმინისტრაციულ ორგანოებში. ასევე იმუშავებს OSF-ის პროექტის ფარგლებში ფსიქოსოციალური და ინტელექტუალური საჭიროების მქონე პირთა უფლებების ადვოკატირებისათვის
კავშირი ქალი და რეალობა	ორგანიზაცია აგრძელებს შემდეგი საკითხების ლობირებას: 1) გენდერული თანასწორობა 2) სქესობრივი და რეპროდუქციული უფლებების რეალიზება
აბილიტაციის და განვითარების ცენტრი	მომავალი წლიდან ცენტრი იწყებს ახალ სერვისს – აუტიზმის სპექტრის დიაგნოსტიკას.

მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის	მომავალი ერთი წლის განმავლობაში ორგანიზაცია გეგმავს ახალი სერვისის შემუშავებას, რომელიც გულისხმობს შშმ ნყვილში მხარდაჭერას. (შშმ-შშმ-სთან მხარდაჭერის სერვისი)
კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის	იგეგმება ჯანდაცვის სამინისტროს ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამაში ჩართვა
ხელი ხელს	ორგანიზაცია აპირებს იმუშაოს თემში ცხოვრების უფლებაზე, შშმ პირთა თემში ცხოვრების მხარდაჭერის მიზნით სოციალური სანარმოს შექმნა
განათლების განვითარების და დასაქმების ასოციაცია	ორგანიზაცია გეგმავს შეიმუშაოს და განახორციელოს შშმ პირთა სერვისების განვითარებისა და ადვოკატირების პროექტები
კავშირი „ნერგები“	ვგეგმავთ შევთავაზოთ ჩვენს მომხმარებელს ფიზიკური რეაბილიტაციის პროექტები
ბავშვთა ასაკის შეზღუდულ შესაძლებლობათა საქართველოს აკადემია – ბაშა	ეპიდემიოლოგიური კვლევის ჩატარებას რეგიონში
საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაცია	ორგანიზაცია გეგმავს დღის ცენტრისთვის თანხების მოძიებას; სახლის შექმნას, შიდა მეურნეობის, სახელოსნოების მოწყობას...
ა(ა)იპ ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება	აუტიზმის პროგრამის განხორციელებაში ჩართვა
საქართველოს სამართლებრივი კავშირი	გეგმაში აქვთ ადრეული ჩარევის პროგრამის სხვა რეგიონებში დანერგვა
შშმ პირთა ინტეგრაციისა და განვითარების ასოციაცია „ჰანგი“	ორგანიზაცია აპირებს იმუშაოს შშმ პირთა გადამზადება-დასაქმების საკითხებზე, შშმ პირთა სპორტული და შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობა.
განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი „თაირისი“	ორგანიზაცია აგრძელებს არსებულ სერვისებს, ორგანიზაცია გეგმავს აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებისათვის თერაპიული სერვისების დანერგვას. ლოგოპედიური ცენტრის შექმნას.
ააიპ რეაბილიტაციის ცენტრი „ნაიო“	აუტიზმის სპექტრის აშლილობების მქონე ბავშვთა და მოზრდილთა სერვისების გაძლიერება, სენსორული და არტ თერაპიის დანერგვა
პირველი ნაბიჯი საქართველო	არსებული მომსახურებების შენარჩუნება და განვითარება

ორგანიზაციების კლიერი და სუსტი მხარეები, სირთულეები

ორგანიზაციების უმეტესობა საკუთარ ძლიერ მხარედ ასახელებს პროფესიონალიზმს, კომპეტენტური კადრების ყოლას გუნდში. ასევე ხშირად სახელდება ბენეფიციარებისთვის მიწოდებული სერვისის მაღალი ხარისხი.

ორგანიზაციების ძლიერი მხარეები:

- კადრის პროფესიონალიზმი / კომპეტენტურობა / დაგროვილი გამოცდილება;
- ხარისხიანი სერვისის მიწოდება / მიწოდებული პროდუქციის მაღალი ხარისხი;
- ორგანიზაციის ცნობადობა;
- კოალიციური მუშაობა;
- საქმისადმი პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება;
- ორგანიზაციამ კარგად იცის შუამდობის პირთა წინაშე არსებული პრობლემები და საჭიროებები;
- ნდობა შუამდობის ბენეფიციარების მხრიდან; საქმიანობების თანხვედრა სახელმწიფო სტრატეგიასთან;
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული სერვისების განვითარების სურვილი და უნარი;
- მოტივირებული გუნდი;
- ცვლილებებისთვის მზაობა;
- ახალი იდეების გენერირების უნარი;
- თანამოაზრეთა ერთიანობა;
- მართვის სტილი;
- თანამედროვე მატერიალურ ტექნიკური ბაზა;
- კავშირი ევროპულ ანალოგ ორგანიზაციასთან;
- დაგროვილი გამოცდილება;
- ბენეფიციარებთან ინტენსიური კომუნიკაცია;
- პრობლემების მოგვარებაზე სისტემურ დონეზე მუშაობის უნარი;
- სოციალური საქმიანობის ცოდნა;
- ღიაობა თანამშრომლობისთვის;
- ადვოკატირების მეთოდების ცოდნა

ორგანიზაციები საკუთარ სუსტ მხარედ ყველაზე ხშირად ასახელებენ ფინანსურ არასტაბილურობას, კვალიფიციკური კადრის მოძიების და შენარჩუნების სირთულეს, საოფისე და დღის ცენტრებისთვის საკმარისი ფართის არქონას, სატრანსპორტო საშუალების არ ქონას, შეფასების ინსტრუმენტების ნაკლებობას.

სუსტი მხარეები:

- სისუსტე ფონდების მოძიებაში;
- ფინანსური არასტაბილურობა;
- ადამიანური რესურსების დეფიციტი (ახალი კადრების ნაკლებობა, საჭირო რაოდენობის კვალიფიციკური კადრების დეფიციტი (ოკუპაციური თერაპევტი), კადრების დენადობა);
- საკუთარი საოფისე ფართის არქონა (ბავშვთა დღის ცენტრისთვის შენობის არ ქონა, ფიზიკური თერაპიის ოთახი აღჭურვილობით; სენსორული ინტეგრაციის ოთახი);
- ორგანიზაციას არ აქვს კარგი ცნობადობა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია;
- ორგანიზაციული მდგრადობის არარსებობა;

- თანამედროვე ტექნიკის ნაკლებობა.
- ექსპერტიზისა და გამოცდილების ნაკლებობა ლობირებისა და სამართლებრივი უფლებების დაცვის კუთხით;
- შეფასების ინსტრუმენტების დეფიციტი (მაგ. მეტყველების) ;
- სატრანსპორტო საშუალების არ ქონა

მუშაობის პროცესში შშმ პირების უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს / ორგანიზაციებს ყველაზე ხშირად ხვდებათ შემდეგი სირთულეები:

- გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან დიალოგის სირთულეები;
- ხელისუფლების მხრიდან კორდინრებული კომუნიკაციის ნაკლებობა;
- მოსახლეობასთან ცნობიერების ამაღლების კუთხით მუშაობის სირთულეები;
- სფეროს შიგნით ქსელური მუშაობისა და კოორდინაციის ნაკლებობის გამო, ინტერვენციები ცალკეული ინიციატივების ხასიათს ატარებს და ხშირად უშედეგოა;
- სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში სერვისების მწირი დაფინანსება, პროგრამების არასწორი განფასება;
- შშმ პირების საკითხებზე საგრანტო კონკურსების სიმცირე;
- სხვადასხვა პროგრამების მონიტორინგის პროცესში წინააღმდეგობა / ინფორმაციის არ მიწოდება სახელმწიფოს მხრიდან